დაუსრულებელი “ექსპერიმენტების” შედეგი

თამაში მოსკოველთა მძაფრი იერიშებით დაიწყო, რასაც მოჰყვა ის, რომ ჭელიძემ ვერ შეაკავა შუამარბი ნ. დემენტიევი, რომელმაც თბილისელთა კარისაკენ ძლიერად დაარტყა. გაგუამ დარტყმას კიდევ დაუმატა და... ბურთი საკუთარი კარის ბადეში გაახვია. ეს მოხდა მეორე წუთზე. ასე დაიწყო გუშინ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “სპარტაკის” მატჩი. ამის შემდეგ მთელ მოედანს მოსკოველები დაეპატრონენ. ისინი ბურთის ზუსტი გადაცემებით თბილისელთა საჯარიმო მოედნის ხშირი სტუმრები იყვნენ და მათ შეტევებს მასპინძლების თავდასხმა ეპიზოდური იერიშებით უპასუხებდა.

მე-16 წუთზე მოსკოველ ნ. დემენტიევს გააქვს მეორე ბურთი, ხოლო ხუთი წუთის შემდეგ ისევ “დინამოს” დამცველთა წყალობით მოსკოვის “სპარტაკის” ფარზე ციფრი - 3 აღიმართა. ასე დამთავრდა პირველი ტაიმი.

მეორე ტაიმში მოსალოდნელი იყო, რომ “დინამო” შეცვლიდა თამაშის ტაქტიკას, მაგრამ იგივე განმეორდა, რაც პირველ ტაიმში. თბილსელთა დაცვა ვერ აკავებდა “სპარტაკის” სწრაფ და საზრიან იერიშებს. მე-15 წუთზე “სპარტაკი” ჯარიმდება. თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა კარგად გამოიყენა ა. ღოღობერიძემ და ანგარიში გახდა 3:1.

მ. ჭელიძის მაგივრად მოედანზე ა. თოდრია გამოდის. ვ. პანიუკოვი თავის ადგილს უბრუნდება და თამაშის სურათი სრულიად იცვლება. თბილისელთა თავდასხმას გამოცოცხლება დაეტყო, თოდრია მარცხენა მხრიდან აშკარა საფრთხეს უქმნის მოსკოველთა კარს, ხოლო პანიუკოვი დაცვაშიც ძლიერია და ასევე კარგად ასრულებს მე-6 თავდამსხმელის როლს. 32-ე წუთზე მარცხენა მხრიდან მ. ჯოჯუა გაიჭრა ბურთით და ზუსტად ჩააწოდა მარჯვენა მხარეზე ა. ზაზროშვილს. უკანასკნელმა კარში ძლიერად დაარტყა. მოსკოველთა მეკარემ მხოლოდ მაშინ შენიშნა ბურთი, როდესაც იგი ბადეში გაეხვია.

მატჩის უკანასკნელ წუთებში “დინამოს” მთელი შემადგენლობა გადავიდა იერიშზე, მაგრამ ამაოდ. ეს საინტერესო შეხვედრა მოიგო მოსკოვის “სპარტაკმა” ანგარიშით 3:2.

მოთამაშეთა მწყობრიდან ძიაპშიპას გამოსვლამ თბილისელთა დაცვა შესამჩნევად შეასუსტა, ამიტომ გამოცდილი ნახევარდამცველის პანიუკოვის თავდასხმაში გადაყვანა არასწორი ექსპერიმენტი იყო და თბილისელებმა სათანადო შედეგიც მიიღეს.

ბ. ზურაბიშვილი.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 4 აგვისტო, 1949 წ.